

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე  
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

### **ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია**

ინსტრუქციის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის ქვაკუთხედს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა წარმოადგენს.

ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის რეალიზება ხელს უწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.

დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და ცვლილებების განხორციელების შემდეგ მექანიზმებს:

### **საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მექანიზმი**

**საგანმანათლებლო პროგრამაში იგულისხმება:**

- პროგრამის კურიკულუმი (პროგრამის კომპონენტები, მათი თანმიმდევრობა, წინაპირობები, კრედიტები, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება)
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
- სწავლის მიზნები და შედეგები (სადაც აღიწერება ის კომპეტენციები, რაც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე)
- სწავლების მეთოდები და თავისებურებები
- შეფასების ფორმები, პროცესი/კრიტერიუმები
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის აღწერა

**პროგრამის ინიცირება**

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის დირექტორის ან/და შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ
- პროგრამის ინიციატორი (სკოლა/დეპარტამენტი) სკოლის საბჭოზე წარმოადგენს დასკვნას პროგრამის მიზანშეწონილობის შესახებ, დასკვნა ასახავს:
  - მოთხოვნას მოცემულ სპეციალობაზე
  - დასაქმების ბაზარზე მოცემულ სპეციალისტებზე მოთხოვნას
  - კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებს

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე  
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

- კომერციულ მიზანშეწონილობას, რაც შეიძლება დასტურდებოდეს ეკონომიკური მომგებიანობით, რეპუტაციული თვალსაზრისით, სხვა აკადემიური და კომერციული მოსაზრებებით
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების ალოკაციის შესაძლებლობებს
- სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს.

#### **საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამსახურები:**

- პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე პასუხისმგებელია სკოლა, რომელიც სკოლის საბჭოზე განიხილავს პროგრამის შექმნის ინიციატივასა და შესაძლებლობებს და ადგენს იმ პირთა რაოდენობას, ვინც პასუხისმგებელი იქნება პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე.
- საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თვითშეფასებას, პროგრამასა და სილაბუსებს უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობას.
- ადამიანური რესურსების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფას ახდენს საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

#### **პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული პირები:**

- მოცემული სკოლის/დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- პოტენციური დამსაქმებლები
- მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტები
- ხარისხის სამსახურის თანამშრომელი
- სხვა დაინტერესებული პირები (კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.)

#### **პროგრამის დამტკიცება**

- სკოლის საბჭოზე განხილვის და დამტკიცების შემდეგ, პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე  
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

### **საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი**

საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მიზანია პროგრამის მუდმივად გაუმჯობესება, შედეგების დახვეწა-განვითარება. შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რაც ხდება თანმიმდევრულად, გამჭირვალედ, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება** - გულისხმობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება.

პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის საქართველოს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რადგან ხსენებული შეფასებები ამოწმებენ საგნის იმ კომპეტენციებს, რომლებიც საბოლოო ჯამში უნვითარებს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების კომპეტენციებს.

#### **შეფასების ფორმები:**

- ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი)
- რეფერატი ან სხვა ინდივიდუალური ან გუნდური აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პრეზენტაციას
- შუალედური გამოცდა/კოლოქვიუმი
- პრაქტიკული უნარების შეფასება
- კურაცია

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე  
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

- სტაჟირება
- იმიტირებული პროცესი
- სემინარი
- ინდივიდუალური ან გუნდური აქტივობა (პროექტი)
- დასკვნითი გამოცდა
- საბაკალავრო ნაშრომი
- სამაგისტრო ნაშრომი
- სადოქტორო ნაშრომი
- სტუდენტების გამოკითხვა

**პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება** - გულისხმობს სტუდენტის და დაინტერესებული პირების დამოკიდებულებას სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოსწავლეებს და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა თავიანთი გამოცდილებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე. პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი ფორმებია:

- დამსაქმებლების კითხვარი
- კურსდამთავრებულების კითხვარი
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი
- კონფერენციები, სამეცნიერო აქტივობა (მაგისტრები)
- საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი
- ბაზრის კვლევა

#### **საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში გადაყვანა ან/და გაუქმება**

საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამის მიღევად რეჟიმში გადაყვანა ან/და გაუქმება შეუძლია საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც სკოლის დირექტორის წარდგინებით განიხილავს საკითხს საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამების) მიღევად რეჟიმში გადაყვანის ან/და გაუქმების შესახებ.

საქართველოს უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, პროგრამის გაუქმების პროცესში არ დაზარალდეს სტუდენტების ინტერესები, შესაბამისად პროგრამაზე სადაც ირიცხებიან სტუდენტები, მათ სთავაზობს შიდა მობილობას, როგორც სხვა, აგრეთვე მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამასთან, აღარ აცხადებს მიღებას იმ პროგრამებზე, რომლის

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე  
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

გაუქმებასაც აპირებს უნივერსიტეტი, რაზეც აღარ გააკეთებს მითითებას ერთიანი  
ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარში.  
იმ შემთხვევაში თუ ის სტუდენტები, რომლებიც ირიცხებიან იმ პროგრამაზე, რომლის  
გაუქმებასაც გეგმავს უნივერსიტეტი, არ ისარგებლებენ შიდა მობილობით, უნივერსიტეტი,  
ასეთ პროგრამას მიღევად სტატუსს მიანიჭებს და იღებს ვალდებულებას მისცეს  
სტუდენტებს პროგრამის დასრულების შესაძლებლობა და ამის შემდეგ გააუქმოს შესაბამისი  
პროგრამა.

იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ სტუდენტის სტატუსი შეჩერებული, საქართველოს  
უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების ადმინისტრირების სამსახური ატყობინებს  
პროგრამის მიღევად რეჟიმში გადაყვანის შესახებ. ასეთ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა,  
პროგრამაზე აქტიური სტუდენტების მხრიდან პროგრამის დასრულებამდე აღადგინონ  
სტატუსი და ისარგებლონ შიდა მობილობით ან განაგრძონ სწავლა.

### **პროგრამის განვითარების საბჭო**

საქართველოს უნივერსიტეტის სკოლების აკადემიური საბჭო ქმნის პროგრამის  
განვითარების საბჭოს (შემდგომში საბჭო), რომლის შემადგენლობასაც ადგენს სკოლის  
აკადემიური საბჭო პროგრამის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით. საბჭოში  
შემავალი პირების სია მტკიცდება სკოლის აკადემიური საბჭოს ოქმით. საბჭოს მუდმივი  
წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის თანამშრომელი. საბჭო შეკრების მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და  
ანალიზი. კვლევა და ანალიზი კეთდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა-  
გაუმჯობესების მიზნით.

#### **1. პროგრამის განვითარების საბჭოს ამოცანები:**

პროგრამის განვითარების საბჭოს ამოცანებია:

- ამ დებულებით განსაზღვრული მექანიზმებით კვლევების ჩატარება.
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების შეკრება და იდენტიფიცირება
- შეკრებილი და იდენტიფიცირებული კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება.
- ანალიზისა და შეფასების საფუძველზე კონკრეტული პროგრამის სწავლის  
შედეგებთან იმართებაში დასკვნების გაკეთება, რაშიც იგულისხმება, როგორც  
არსებული სწავლის შედეგების კომპონენტების დახვეწა, ისე პროგრამაში ახალი  
კომპონენტის გაჩენას.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე  
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

- პროგრამის გასაუმჯობესებლად, პროგრამაში ცვლილების ინიცირება სკოლის აკადემიური საბჭოსთვის.

## **2. პროგრამის შედეგების შეფასების პერიოდულობა:**

პროგრამის შეფასების საბჭო შემაჯამებელ სხდომას ატარებს სემესტრულად სულ მცირე ერთხელ, მაგრამ საჭიროებისამებრ განსაზღვრავს დამატებით შეხვედრის საჭიროებებს. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება სასურველია განხორციელდეს წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება სასურველია განხორციელდეს ყოველ ორ წელიწადში.

პროგრამის განვითარების საბჭო მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე და ამის შემდეგ ხორციელდება ცვლილებები.

პროგრამის შეფასების კითხვარები განსაზღვრულია დანართების შესაბამისად:

დანართი N 1 - სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის

დანართი N 2 - სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის

დანართი N 3 - სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისთვის

დანართი N 4 - უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა (დასაქმებული სტუდენტებისთვის და კურსდამთვრებულებისთვის)

დანართი N 5 - აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნის და შეფასების კითხვარი დამსაქმებლებისთვის

სკოლა უფლებამოსილია განსაზღვროს წინამდებარე წესისგან განსახვავებული კითხვარები, რომელიც მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ.